112-ის ფრთით...

№21,
მაისი, 2015

შსს ევროპის რეგიონულ კონფერენციაზე
(გვ.4–6)

112 პოლიტიკის დღეზე
(გვ.7)

112-ს რეგიონული მეფის
წარმომადგენლებისთვის მეცადინე
ჩაატარა (გვ.8–9)

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, ნატალია გელაშვილი, სალომე გელუტაშვილი, ჰენრიეტა ელიაური, მარიამ ჯმუხაძე, გვანცა მეშველიანი, შალვა კუხიანიძე

დიზაინი თეა კუპრაძე

112 პოლიციელის დღეზე 83.4

112-მა რეგიონალური მედიის წარმომადგენლებისთვის მედიატური ჩაატარა 83.5-6

შს მინისტრმა პრემიერ-მინისტრთან ერთად დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მოწყობილი 112-ის გამოფენა დაათვალიერა 83.7

„ეფექტური კომუნიკაცია და მომსახურების სტანდარტები" 83.8

112 „მომავლის ვარსკვლავები 2015"-ის მხარდამჭერია 83.9

112-ს აშშ-ს ჯორჯიის შტატის ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები ეწვივნენ 83.10

საჯარო სკოლების მოსწავლეები 112-ში 83.11-12

112-ის SMS და ვიდეო ზარის სერვისის პრეზენტაცია 203-ე სკოლაში 83.13

IX-XII კლასის მოსწავლეები 112-ს ესტუმრნენ 83.14

112-მა საკვლევ-მოძებდო მარათონში მიიღო მონაწილეობა 83.15

პოლიციის ყველაზე უცნაური ტრანსპორტი მსოფლიოში 83.16-17

გერმანიაში მილიარდობით ევროს ღირებულების საქონელს იპარავენ 83.18

ოპერატორის დღიური 83.19

ვარჯიშები ტვინისთვის 83.20

ოშოს წინასწარმეტყველება იგავებით 83.21-26

კავკასიურმა ნაგაზმა წყალდიდობის დროს სახლი არ მიატოვა 83.27

მესხური თათარბერაკი ნანა აბულაძისგან 83.28

მილოცვები 83.29

112 პოლიციელის დღეზე

შინაგან საქმეთა სამინისტრომ პოლიციელის დღე, 2015 წლის 31 მაისს, ქუთაისში საზეიმო ღონისძიებით აღნიშნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, შს მინისტრი ვახტანგ გომელაური, მთავრობისა და პარლამენტის წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და ოფიციალური დელეგაციების წევრები პარტნიორი ქვეყნებიდან: ლატვიიდან, ლიტვიდან, გერმანიიდან, სომხეთიდან, ბელარუსიდან, თურქეთიდან და მოლდოვიდან. ღონისძიების დასაწყისში სტუმრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპული პოლიციელების ხსოვნას.

ოფიციალური ღონისძიების დასრულების შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა, პრეზიდენტმა და შს მინისტრმა, სტუმრებთან ერთად, შსს სხვადასხვა დანაყოფის მიერ წარმოდგენილი სტენდები დაათვალიერეს.

პოლიციელის დღეზე 112-მა ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის SMS და ვიდეო ზარის ახალი სერვისის შესახებ რგოლები და საინფორმაციო მასალები წარმოადგინა. ასევე, გაიმართა GPS მომსახურების და განგაშის სიგნალის სიმულაციური ჩვენება. ნაჩვენები იყო GPS ტრეკერიდან განგაშის სიგნალის შემოსვლა 112-ში, ადგილმდებარეობის ასახვა რუკაზე და 112-ის ოპერატორის მიერ სიგნალის დაფიქსირება. ღონისძიების ფარგლებში, წარმოდგენილი იყო 112-ის შესახებ საინფორმაციო მასალა და ნებისმიერ დამთვალიერებელს ქონდა საშუალება უკეთ გაცნობოდა 112-ის მუშაობას.

აღსანიშნავია, რომ პოლიციელის დღეზე შს მინისტრმა „მადლობის სიგელით“ დააჯილდოვა 112-ის ოპერატორი, პოლიციის რიგითი ნატალია ლომთაძე, რომელმაც 8 წლის ლექსო ბოჟაძისგან ოპერატიულად მიიღო საჭირო ინფორმაცია და ბავშვის დედის გადარჩენა შეძლო.

112-მა რეგიონული მედიის წარმომადგენლებისთვის მედიატური ჩაატარა

შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტმა 2015 წლის 27-28 მაისს, ქალაქ თბილისში, სასტუმრო „ჰოლიდეი ინნში“ მედიატური გამართა. მედიატურში საქართველოს რეგიონალური მედიის 20-ზე მეტმა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. 112-ის მიერ მედიატურის ჩატარების მიზანი იყო მედიის წარმომადგენლებს მაქსიმალური ინფორმაცია ჰქონოდათ გადაუდებელი დახმარების უნიკალური ნომრის შესახებ და 112-ის წარმომადგენლებისაგან დეტალური ინფორმაცია მიეღოთ დასრულებული, მიმდინარე თუ სამომავლო პროექტების შესახებ.

მედიატურის ფარგლებში განიხილეს მედიის წარმომადგენლებისთვის საინტერესო ყველა საკითხი. რეგიონალური მედიის წარმომადგენლები 112-ის მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ, გაიგეს თუ რა სიახლე დანერგა 112-მა იმისათვის, რომ ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს შეეძლოთ გადაუდებელი დახმარების ნო-

მერთან დამოუკიდებლად წვდომა. ასევე შეიტყვეს, რა ღონისძიებები ჩატარდა 112-ის ცნობადობის გაზრდისა და მოქალაქეთათვის უკეთესი სერვისის შეთავაზების კუთხით. დეტალურად განიხილეს თუ რა ცვლილებები შევიდა კანონში და რა კუთხით გამკაცრდა სასჯელი არამიზნობრივი და ცრუ ზარის განხორციელების შემთხვევაში.

მედიატურის მეორე დღეს ჟურნალისტები 112-ს ესტუმრნენ, ქოლ-ცენტრი დაათვალიერეს, ადგილზე გაეცნენ ოპერატორების მუშაობის სპეციფიკას და ზარის მიღებისა და შეტყობინების დამუშავების პროცესს დააკვირდნენ. შეხვედრის დასასრულს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა ნინო გიორგობიანმა და შსს-ს 112-ის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე თეა გზირიშვილმა 112-ის მიერ ორგანიზებული მედიატურის ყველა მონაწილეს სერტიფიკატები გადასცეს.

შს მინისტრმა პრემიერ-მინისტრთან ერთად დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მოწყობილი 112-ის კუთხე დაათვალიერა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ტექნიკის, შეიარაღებისა და აღჭურვილობის გამოფენა მოაწყო. შს მინისტრი ვახტანგ გომელაური, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად, რუსთაველის გამზირზე მოწყობილ გამოფენას პირადად ეწვია და შსს-ს საგამოფენო კუთხე დაათვალიერა. შს მინისტრმა ასევე დაათვალიერა სხვა სამინისტროების მიერ მოწყობილი გამოფენებიც.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ე.წ. „იმელის“ შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე უწყების სხვადასხვა დანაყოფის ტექნიკა, შეიარაღება და აღჭურვილობა წარმოადგინა.

112-ის დეპარტამენტმა, 26 მაისს ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის SMS და ვიდეოზარის ახალი სერვისის შესახებ რგოლები და საინფორმაციო მასალები წარმოადგინა. ასევე, გაიმართა GPS მომსახურების და განგაშის სიგნალის სიმულაციური ჩვენება. ნაჩვენები იყო GPS ტრეკერიდან განგაშის სიგნალის შემოსვლა 112-ში, ადგილმდებარეობის ასახვა რუკაზე და 112-ის ოპერატორის მიერ სიგნალის დაფიქსირება. ღონისძიების ფარგლებში, წარმოდგენილი იყო 112-ის შესახებ საინფორმაციო მასალა და ნებისმიერ დამთვალიერებელს ქონდა საშუალება უკეთ გაცნობოდა 112-ის მუშაობას.

„ეფექტური კომუნიკაცია და მომსახურების სტანდარტები"

ეფექტური მომსახურების სტანდარტებსა და პროფესიული სტრესის საკითხებში, 112-ის ოპერატორებისა და დისპეტჩერებისთვის, შსს აკადემიაში, 2015 წლის 28 აპრილიდან 25 ივნისამდე, ტრენინგი ტარდება.

ტრენინგის მიზანია, 112-ის ოპერატორებისთვის ეფექტური კომუნიკაციისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება. ასევე, პროფესიული სტრესისგან თავდაცვის მეთოდების შესწავლა და მისი გამოყენება ყოველდღიურ პროფესიულ საქმიანობაში.

აღნიშნულ ტრენინგის გავლა მნიშვნელოვანია 112-ის თითოეული ოპერატორისათვის, რადგან მათ, პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, ყოველდღიურად უწევთ ურთიერთობა მოქალაქეებთან. ტრენინგის ფარგლებში, ოპერატორები გადამზადდებიან სატელეფონო მომსახურებისა და მოქალაქესთან ურთიერთობის ზოგადი სტანდარტის კუთხით, ასევე შეისწავლიან აქტიური მოსმენის, შეკითხვის დასმის ტექნიკისა და რთულ მოქალაქესთან ურთიერთობის პრინციპებს.

112-ის მიერ ეფექტური მომსახურების განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანია ოპერატორების ქცევის საკითხი სტრესულ სიტუაციებში. ასევე, ტრენინგის ფარგლებში, 112-ის ოპერატორები შეისწავლიან რა სიმპტომები ახასიათებს პროფესიულ სტრესს.

ოპერატორების მუდმივი გადამზადება 112-ის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, რადგან სამსახურისთვის მთავარია, შემცირდეს გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის დრო და გაიზარდოს მოქალაქეთა კმაყოფილების დონე.

112 „მომავლის ვარსკვლავები 2015-ის“ მხარდამჭერია

2015 წლის, 14-15 მაისს, ქ. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში კლასიკური მუსიკის მე-8 რესპუბლიკური ფესტივალი „მომავლის ვარსკვლავები 2015“-ის გალა კონცერტი გაიმართა. შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტი უკვე მესამე წელია ამ ფესტივალის მხარდამჭერია.

ფესტივალში საქართველოს ყველა რეგიონიდან იღებენ ახალგაზრდები მონაწილეობას. 112-ის წარმომადგენლებმა გამარჯვებულებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. ასევე, ბავშვებს განემარტათ გადაუდებელი დახმარების ნომრის მნიშვნელობა, რა შემთხვევაში და როგორ უნდა დაუკავშირდნენ 112-ს.

112-ს აშშ-ს ჯორჯიის შტატის ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები ეწვივნენ

2015 წლის, 23 მაისს შს სამინისტროს 112-ის დეპარტამენტს აშშ-ს ჯორჯიის შტატის ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელი პირები და საქართველოში აშშ-ს საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალ-დამცავ უწყებებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) პროგრამის წარმომადგენლები ეწვივნენ. სტუმრებს 112-ის დირექტორმა გიორგი ბიჭაშვილმა უმასპინძლა.

ვიზიტის ფარგლებში, აშშ-ს დელეგაცის წევრები საქართველოში გადაუდებელი დახმარების მართვის სფეროში არსებულ სიტუაციას გაეცნენ და ქვეყანაში მოქმედი, გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის - 112-ის ფუნქციონირების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს.

სტუმრებს საშუალება მიეცათ ადგილზე გაცნობოდნენ 112-ის ოპერატორების მუშაობის სპეციფიკას, დაკვირვებოდნენ ზარის მიღებისა და შეტყობინების დამუშავების პროცესს.

გიორგი ბიჭაშვილმა დელეგაციის წევრებს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი დაათვალიერებინა და სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.



საჯარო სკოლების მოსწავლეები 112-ში

2015 წლის 5 მაისიდან 20 მაისის ჩათვლით, შსს-ს 112-ის დეპარტამენტს, პროექტის „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამის“ ფარგლებში, მე-60, 210-ე, 182-ე, 70-ე, 130-ე საჯარო სკოლების მოსწავლეები ესტუმრნენ.

აღნიშნული პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და ორგანიზებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით ხორციელდება.

პროექტის მიზანია, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია, მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე მათი სამოქალაქო ცნობიერების განვითარების ხელშეწყობის გზით. ასევე, ახალგაზრდებში სამართლებრივი ცნობიერების, მართლშეგნებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა და გადაუდებელ სიტუაციებში ქცევის წესები.

ვიზიტების ფარგლებში, ახალგაზრდებმა დაათვალიერეს 112-ის სამუშაო დარბაზი, ადგილზე გაეცნენ სამსახურისა და ოპერატორების მუშაობის სპეციფიკას. სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია გადაუდებელი დახმარების უნიკალური ნომრის - 112-ის შესახებ, რომლის მიზანია, მოქალაქეთათვის გადაუდებელი შემთხვევების დროს დახმარების აღმოჩენა, მთელი საქართველოს მასშტაბით, 24 საათის განმავლობაში. ასევე, მოზარდებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია, როგორ და რა დროს უნდა დარეკონ 112-ზე. გაიგეს, რომელი გადაუ-

დებელი სამსახურის ბრიგადების გამოძახებაა შესაძლებელი 112-ზე დარეკვით.

112-ში სტუმრობის დროს სკოლის მოსწავლეებმა სამსახურის წარმომადგენლებისგან შეიტყვეს, თუ რა ზიანის მომტანია ცრუ ზარის განხორციელება 112-ზე და რა სანქციებია გათვალისწინებული ნომრის არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევებში. უფროსკლასელებს განემარტათ, რომ 112 უნდა გამოიყენონ მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებში და არამიზნობრივი ზარებით საფრთხე არ უნდა შეუქმნან სხვის სიცოცხლეს. ასევე, ბავშვებმა დეტალური ინფორმაცია მიიღეს 112-ის ოპერატორთან თანამშრომლობის წესების შესახებ, თუ რა ინფორმაცია უნდა მიაწოდონ საგანგებო შემთხვევის დროს ოპერატორს და რა კითხვებზე უნდა ჰქონდეთ პასუხი.

ბავშვები დაინტერესდნენ 112-ის SMS და ვიდეო ზარის სერვისით და გაიგეს, როგორ უნდა ისარგებლონ აღნიშნული მომსახურებით ყრუ და სმენადაქვეითებულმა პირებმა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმდინარე წლის 1 მაისიდან დაიწყო საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია, რომლის მიზანია, საზოგადოების ინფორმირებულობა სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის ფორმების და კანონით გათვალისწინებული, მოქალაქეების უფლების შესახებ.

უფროსკლასელთათვის ექსკურსიები მოეწყო შს სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფში, კერძოდ, მომსახურების სააგენტოში, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში, სასაზღვრო პოლიციაში, გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ 112-ში, საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრში და შსს-ს აკადემიაში. აღსანიშნავია, რომ პროექტი „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“ განხორციელდა როგორც დედაქალაქის, ასევე რეგიონების, მათ შორის, არაქართულენოვან საჯარო სკოლებში.

112-ის SMS და ვიდეო ზარის სერვისის პრეზენტაცია 203-ე სკოლაში

2015 წლის 1 მაისს, ქ.თბილისში, N203-ე ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა საჯარო სკოლაში 112-ის წარმომადგენლებმა პრეზენტაცია ჩაატარეს. ყრუ და სმენადაქვეითებულმა ბავშვებმა მიიღეს ინფორმაცია გადაუდებელი დახმარების ნომერ - 112-თან SMS და ვიდეო ზარის საშუალებით დაკავშირების შესახებ.

საინფორმაციო შეხვედრის განმავლობაში, მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეები დარეგისტრირდნენ 112-ის მონაცემთა ბაზაში. ასევე, მოზარდებმა დეტალური ინფორმაცია მიიღეს ახალი სერვისის შესახებ და თავად შეამოწმეს ახალი მომსახურების ეფექტურობა.

შეგახსენებთ, რომ SMS და ვიდეო ზარი ხელმისაწვდომია მთელ საქართველოში, 24 საათის განმავლობაში. სერვისი უფასოა და განკუთვნილია მხოლოდ ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისათვის! სერვისით სარგებლობისთვის საჭიროა წინასწარი რეგისტრაცია ვებ-გვერდზე www.112.ge

ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს, გადაუდებელ შემთხვევებში, ექნებათ შესაძლებლობა, მოკლე ტექსტური შეტყობინებისა და ვიდეო ზარის საშუალებით დამოუკიდებლად დაუკავშირდნენ 112-ს. გადაუდებელი დახმარების შესახებ შემოსული შეტყობინება სასწრაფო-სამედიცინო დახმარებას, პოლიციასა და სახანძრო/სამაშველო სამსახურს გადაეცემა.

ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისგან შემოსულ შეტყობინებებს ღებულობენ ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორები.

112-ის ინიციატივა ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით. სერვისის შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ყრუთა კავშირი. გაეროსა და შვედეთის ელჩებმა მონაწილეობა მიიღეს საინფორმაციო კამპანიაში, რომლის მეშვეობითაც ინფორმაცია ახალი სერვისის შესახებ ვრცელდება ტელევიზიასა და სოციალურ მედიაში.

IX-XII კლასის მოსწავლეები 112-ს ესტუმრნენ

2015 წლის 29 აპრილს, შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტს, „პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვის“ პროგრამაში ჩართული IX-XII კლასის მოსწავლეები ესტუმრნენ.

ბავშვებმა გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი დაათვალიერეს, დააკვირდნენ სამუშაო პროცესს, გაეცნენ გადაუდებელ სიტუაციებში ქცევის წესებს და 112-ის წარმომადგენლებისაგან მათთვის საინტერესო კითხვებზე მიიღეს პასუხები.

112-ში ვიზიტი მოსწავლეებისთვის საკმაოდ შთამბეჭდავი აღმოჩნდა. ბავშვებმა აღნიშნეს, რომ ყოველთვის აინტერესებდათ, თუ როგორ ფუნქციონირებს ცენტრი და რა რეჟიმში უწევთ მუშაობა ოპერატორებს.

აღნიშნულ პროგრამას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური ახორციელებს. პროგრამის მიზანია დაეხმაროს IX-XII კლასის მოსწავლეებს პროფესიის შერჩევაში.

112-მა საქველმოქმედო მარათონში მიიღო მონაწილეობა

2015 წლის 3 მაისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს პროექტში „დარბის ყველა, დარბის მთელი მსოფლიო, დარბის საქართველო!“

ზურგის ტვინის დაავადების მქონე პაციენტთა დასახმარებლად, მსოფლიოს მასშტაბით გამართული საქველმოქმედო ღონისძიება, ერთდროულად 5 კონტინეტზე, 35 ქვეყანაში ჩატარდა.

საქართველოში საერთაშორისო მარათონი კახეთში, ლოპოტას გადასახვევიდან კავკასიონის ქედის გაყოლებით გაიმართა.

საქველმოქმედო ღონისძიებიდან შემოსული თანხა სრულად გადაერიცხება „Wings For Life“-ის კვლევის ფონდს და იმ სამეცნიერო კვლევებს მოხმარდება, რომელთა საშუალებითაც ზურგის ტვინის დაავადებების განკურნება გახდება შესაძლებელი.

პოლიციის ყველაზე უცნაური ტრანსპორტი მსოფლიოში

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურმა განაცხადა, რომ აპირებს უკიდურეს ჩრდილოეთში მდებარე რაიონების პოლიციის განყოფილებებისათვის ირმების შეძენას. პოლიციაში ფიქრობენ, რომ ასე უფრო იოლი იქნება იმ დამნაშავეების დაჭერა, რომლებიც ტუნდრაში იმალებიან.

მოდით ვნახოთ, კიდევ რა უცნაურ სატრანსპორტო საშუალებებს იყენებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიციელები.

უკანასკნელი ათწლეულის მანილზე დუბაის პოლიციის ავტოპარკი ითვლება ყველაზე ძვირფას საპატრულო ავტოპარკად მსოფლიოში. მათ მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების საერთო ფასი 15 მილიონ დოლარს აღწევს. აქაური წესრიგის დამცველების აზრით, მარტო საპატრულო მანქანის გარეგნულმა იერსახემაც კი შიში უნდა მოჰგვაროს წესრიგის დამრღვევებს. სპორტული მანქანის საჭესთან დაჯდომა ბევრი დუბაელი პოლიციელის ოცნებაა, მაგრამ ეს საკმაოდ პრესტიჟულ სამუშაოდ ითვლება, ოფიცრები მკაცრ კონტროლს და შემოწმებას გადიან და 100 რიგითი პოლიციელიდან მხოლოდ ერთს თუ უმართლებს.

ინგლისში საცხენოსნო პოლიცია საკმაოდ ხშირად გამოიყენება, განსაკუთრებით საფეხბურთო მატჩების და სტადიონებზე გამართული კონცერტების მსვლელობისას წესრიგის დაცვისათვის.

ავსტრალიელი სამართალდამცავები წყალსაცავებში კონტროლს ჰიდროციკლების საშუალებით ახორციელებენ. აკვაბაიკების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მათი საშუალებით შესაძლებელია ნაპირთან ძალიან ახლოს მისვლა, დიდი კატერებით კი მხოლოდ ნაპირიდან 10-15 მეტრშია შესაძლებელი მანევრირება.

ამერიკელ ველოპოლიციელებზე სერიალია გადაღებული. ველოსიპედებზე ამხედრებულ სამართალდამცავებს შეხვდებით ირლანდიაში, იაპონიაში, ჰოლანდიასა და სეიშელის კუნძულებზე.

კიდევ უფრო მოხერხებული და იოლად მანევრირებადი ტრანსპორტია გორგოლაჭები. მას საკმაოდ ბევრი ქვეყნის პოლიცია იყენებს, მაგრამ ყველაზე პოპულარული ის საფრანგეთშია.

უდაბნოში გადაადგილებისათვის ეგვიპტელი პოლიციელები იყენებენ ერთკუზიან აქლემებს-დრომადერებს.

პორტუგალიაში, აშშ-ში, თურქეთში, გერმანიასა და კიდევ რამდენიმე ქვეყანაში პოლიციელების საკმაოდ პოპულარული ტრანსპორტია სეგვეი.

ბელორუსიის მილიცია თურმე სატრანსპორტო საშუალებად ტრაქტორსაც კი იყენებს. ტრაქტორების გარდა, ბელორუსიაში (და მსოფლიოს კიდევ ბევრ სხვა ქვეყანაში) საპატრულო ტრანსპორტს სკუტერიც წარმოადგენს. მათი მობილურობა ამ სატრანპორტო საშუალებას შეუცვლელს ხდის, მაგალითად, პარკებში გადაადგილების დროს.

ჩრდილოეთის ქვეყნებისათვის ირმები არ წარმოადგენს სიახლეს, მათ დიდი ხანია წარმატებით იყენებენ ფინელი პოლიციელები.

წყარო: www.icode.ge

გერმანიაში მილიარდობით ევროს ღირებულების საქონელს იპარავენ

გერმანიაში ქურდები მაღაზიებიდან ყოველწლიურად რამდენიმე მილიარდი ევროს ღირებულების საქონელს იპარავენ.

საინტერესოა, რომ ყველაზე დიდი „მოთხოვნილება“ მცირე ზომის, მაგრამ ძვირადღირებულ საქონელზეა, ისეთებზე, როგორიცაა: კოსმეტიკა, აქსესუარები, თეთრეული და ჯინსები.

ქურდობა გერმანიის მაღაზიებში ძალიან ხშირი მოვლენაა. მაგალითად, 2014 წელს გერმანიის მაღაზიებიდან 2 მილიარდი ევროს ღირებულების საქონელი მოიპარეს, 800 მილიონი კი გერმანულმა ფირმებმა საკუთარი თანამშრომლების გაუფრთხილებლობით იზარალეს.

ეს ცნობები გერმანიის ვაჭრობის კვლევის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა. გარდა ამისა, მიმწოდებელი ფირმები და სერვის-სამსახურებიც ხშირად ქურდობენ, რისგანაც ფირმებს 3,9 მილიარდი ღირებულების ზარალი მიადგათ.

გერმანიის პოლიცია აცხადებს, რომ მაღაზიებში ქურდობის ფაქტები წლიდან წლამდე მცირდება. 2014 წელს გერმანიაში 390 033 ქურდობა მოხდა, რაც 0,4 პროცენტით ნაკლებია 2013 წლის მონაცემებთან შედარებით. თუმცა, ვაჭრობის კვლევის ინსტიტუტის მონაცემებით, ძალიან ხშირია ისეთი ქურდობა, რომელიც არ რეგისტრირდება.

არაკეთილსინდისიერ მყიდველებს მაღაზიებიდან ყოველდღიურად საშუალოდ 63 ევროს ღირებულების საქონელი გააქვთ სალაროს გვერდის ავლით. ყოველწლიურად მეწარმეები საკუთარი შემოსავლის 0,4 პროცენტს, ჯამში დაახლოებით 1,2 მილიარდ ევროს ხარჯავენ დაცვისა და თვალთვალის თანამედროვე საშუალებების შეძენისას.

წყარო: www.icode.ge

ერთ-ერთი ღამე...

15 ნოემბერი, 2006

ღამე, როდესაც მხოლოდ ნახევარი საათი გაატარეთ სამუშაოზე და უკვე გიწევთ ნახევარი ენერგიის დახარჯვა იმისათვის, რომ აუხსნათ ქალბატონს, რომელსაც თითი ბავშვის სკამში მოჰყვა, რატომ ვერ მიიღებს სასწრაფო დახმარებას დროულად.

ზარის ინიციატორი: თქვენ მეუბნებით, რომ სანამ ჩემს სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქრება ვერ მივიღებ დახმარებას?

მე (ზარის მიმღები): დიახ

ზარის ინიციატორი: მაგრამ, მე შეიძლება თითი მჭონდეს მოტეხილი.

მე: ეს არ არის სიცოცხლისთვის სახიფათო მდგომარეობა.

ზარის ინიციატორი: ანუ, თუ თქვენ თითს მოიტეხავთ, სასწრაფოს არ გამოიძახებთ?

მე: რა თქმა უნდა არა, მე ტაქსს გამოვიძახებ. შეგიძლით ტაქსი გამოიძახოთ?

ზარის ინიციატორი: მე არ მაქვს ტაქსის ფული. არ ვარ ფულის ხე!

მე: მაშ როგორ აპირებთ საავადმყოფოში მისვლას?

ზარის ინიციატორი: ტაქსს გამოვიძახებ.

მე: კარგი, რატომ არ აკეთებთ ამას?

ზარის ინიციატორი: იმიტომ... რატომ ხართ ასეთი სარკაზმული ჩემს მიმართ? თქვენ ძალიან უხეში ხართ!

მე: მე არ ვარ უხეში, მე ვცდილობ დაგეხმაროთ, რომ საავადმყოფოში მიხვიდეთ.

ზარის ინიციატორი: მაგრამ... მისმინეთ, აქ ბავშვია!

მე: გასაგებია, მაგრამ ბავშვს რამე ხომ არ სტკივა, ავად ხომ არ არის?

ზარის ინიციატორმა ყურმილი დაკიდა...

ამ ქალბატონის გამოძახებას დაბალი პრიორიტეტი მივანიჭეთ და საქმეების ბოლოში გადავიტანეთ. შემდეგ მისმა მეზობელმა გამოძახების გასაუქმებლად დაგვირეკა. მან გვითხრა, რომ აუხსნა მეზობელს რატომ არ უნდა გამოეძახებინა სასწრაფო ამ კონკრეტულ შემთხვევაში და მისცა ტაქსის ფული, რათა საავადმყოფოში წასულიყო.

უნდა გვახსოვდეს, მიუხედავად უხეში ადამიანებისა, არსებობენ ისეთებიც როგორიც ეს მეზობელი ქალბატონი აღმოჩნდა - კეთილი და საღად მოაზროვნე. სწორედ ასეთი ქალბატონების საშუალებით მიბრუნდება რწმენა ადამიანების მიმართ.



ვარჯიშები ტვინისთვის

დიდხანს ერთი და იმავე სამუშაოს შესრულებისას ტვინი იღლება და უჭირს კონცენტრირება, ამიტომ საჭიროა მისი მუდმივად ვარჯიში, ახალი ენერგიით „დატენვა“.

ტვინის ვარჯიში შეიძლება შეასრულოთ სადაც გსურთ: სამსახურში, შინ, გაზჭურასთან და აბაზანაშიც კი.

- მეტი იმოძრავეთ. მისდიეთ სპორტს (ცურვა, ველოსიპედით სეირნობა, თხილამურებით სრიალი). იარეთ ფეხით, იცეკვეთ, ისეირნეთ ბუნებაში. დაიმახსოვრეთ: ამ დროს ტვინს მეტი სისხლი მიეწოდება.

- ხელი მიჰყავით მედიტაციას. დღეში 15 წუთი მოადუნეთ ყურადღება, არაფერზე იფიქროთ, ეს გაგიუმჯობესებთ ყურადღებასა და მეხსიერებას.

- ღრმად ისუნთქეთ. ეს ყველაზე მარტივი და ეფექტიანი ვარჯიშია. ღრმად სუნთქვის დროს ორგანიზმი დუნდება და ტვინამდე მეტი ჟანგბადი აღწევს.

- საღამოს ოთახში ჩააქრეთ სინათლე და თვალდახუჭულმა მეხსიერების დახმარებით იარეთ, თვალდახუჭულმა მიიღეთ შხაპი - ეს ვარჯიშები ააქტიურებს ტვინს და აუმჯობესებს მეხსიერებას.

- შეიძინეთ ის ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც არ გაინტერესებდათ, მაგალითად, მოდების ჟურნალის ნაცვლად - ჟურნალი ავტომობილებზე, ცხოველებსა და ბუნებაზე, მოგზაურობაზე.

- დილას ტვინს „გამოღვიძებაში“ დაეხმარება რომელიმე ეთერზეთის (რომლის მიმართაც ალერგიული არ ხართ) შესუნთქვა.

- დაიწყეთ უცხო ენის შესწავლა - ეს ტვინს დაეხმარება მეხსიერების გააქტიურებასა და ასოციაციური აზროვნების განვითარებაში.

- მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ყურადღების კონცენტრირებისა და ორიგინალური გადაწყვეტილების მიღებაში ტვინს ეხმარება ყავა და შოკოლადი. თუმცა ზომიერების დაცვა აუცილებელია.

- მიიღეთ ცხიმოვანი მჟავებით მდიდარი საკვები (მაგალითად, ორაგული), რომელიც მონაწილეობს თავის ტვინისა და ნერვული სისტემის უჯრედების წარმოქმნაში.

- ნიგოზი ტვინს ეხმარება კონცენტრირების გახანგრძლივებაში. მაგალითად, თუკი აპირებთ მოხსენებით გამოსვლას, ან მოგიწევთ საჭესთან ან კომპიუტერთან დიდხანს ჯდომა, მიირთვით 50-100 გრ. ნიგოზი.

წყარო: www.janmrtelobainfo.ge

ოშოს წინასწარმეტყველება იგავებით

გსურთ მიიღოთ პასუხი თქვენთვის ყველაზე საჭირბოროტო კითხვაზე?

ჩაიფიქრეთ კითხვა და აირჩიეთ 12-დან ერთ-ერთი ნახატი. თითოეულში დამალულია იგავი, რომელიც თქვენს კითხვაზე პასუხს იგავებით გასცემს და სწორ გზას მიგანიშნებთ.

1. სიყვარული

ერთ ძლევამოსილ მეფეს ტახტის მემკვიდრე უნდა აერჩია. ეს არც ისე მარტივი აღმოჩნდა, მისი ტყუპი ვაჟი ხომ ერთნაირად გონიერი, მამაცი და ღირსეული იყო. მაშინ მან თითოეულს ყვავილის თესლის თითო ტომარა მისცა და უთხრა: „ის, ვინც კარგად მოუვლის და შეინახავს ყვავილის თესლით სავსე ამ ტომრებს, მეფე გახდება.“

პირველმა ძმამ ტომარა სკივრში დამალა, მეორემ - მცენარეები დარგო. სამი წლის შემდეგ მეფემ ტომრები უკან მოითხოვა. პირველმა ვაჟმა ამოიღო სკივრიდან ყვა-

ვილის თესლით სავსე ტომარა და აღმოაჩინა, რომ ისინი სულ დაობებულიყო. მეორე ვაჟმა მამას ულამაზესი ყვავილნარი აჩვენა: „აი, შენ მიერ მოცემული თესლები, როცა ნაყოფს მოისხამს, დავკრეფ და დაგიბრუნებ“. გამოიცანით, ვინ მიიღო ტახტი მემკვიდრეობით?!

მორალი: სიყვარული მცენარესავით არის, აუცილებელია მისი დარგვა, მოვლა და გახარება. სხვაგვარად მას ობი მოეკიდება.

2. ყველაფერი წავა

ერთხელ პლანტაციების ახლოს ჩავლილმა ვაჭარმა მონა შენიშნა. გაჩერდა, აჭამა, ასვა და შეიცოდა ის. მადლიერმა მონამ ვაჭარს უთხრა: - „ყველაფერი წარმავალია, ესეც გაივლის.“

3 წლის შემდეგ ვაჭარი და მონა ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. მონა ვეზირი გამხდარა. ყოფილმა ღატაკმა გულუხვად დააჯილდოვა ძვირფასეულობით ვაჭარი და იგივე ფრაზა უთხრა. კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ ვაჭარი ვეზირის საფლავზე მივიდა და ქვაზე წაიკითხა წარწერა: „ყველაფერი წავა“. რას ნიშნავს ეს ფრაზა? - ფიქრობდა ვაჭარი. კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ვაჭარი ვეზირის საფლავზე მივიდა, ნახა, რომ საფლავი აღარ არსებობდა, ის წყალს წაეღო. მხოლოდ მაშინღა მიხვდა ვაჭარი და დაეთანხმა ყოფილ მონას: „მართლაც, ყველაფერი წარმავალია“.

მორალი: თუნდაც მოვლენები შენს სურვილებს არ ემთხვეოდეს, ნუ დახარჯავ ძალებს ბრძოლაში - ყველაფერი თავად მოგვარდება.

3. მიიღე საკუთარი თავი

დილით, უთენია ბაღში გასულმა მეფემ აღმოაჩინა, რომ ყველა მცენარე ჭკნებოდა. მუხა კვდებოდა იმიტომ, რომ იმ სიმაღლეს ვერ მიაღწია, რასაც ნაძვმა; ნაძვმა მოიწყინა იმიტომ, რომ არ შეეძლო გამოეღო ისეთი ნაყოფი, როგორც ვაზს; ხოლო ვაზი იღუპებოდა იმის გამო, რომ ვარდის სურნელი არ ჰქონდა. მხოლოდ ჭინჭარი იზრდებოდა თავმომწონედ. რატომ? აი, რა პასუხი გასცა ამ კითხვაზე მეფეს ჭინ-ჭარმა: „მე მივხვდი, რომ როცა დამრგე, გსურდა, რომ ჩემგან სწორედ ჭინჭარი გაზრდილიყო. ამიტომაც გადავწყვიტე: რადგან არ შემიძლია ვიყო სხვა რამ, შევეცდები, ჩემს სახეობაში საუკეთესო ვიყო“.

მორალი: ღმერთს რომ სდომებოდა, ხელახლა შეექმნა ქრისტე ან ბუდა, ის ამას მარტივად გააკეთებდა. მაგრამ მას შენ დასჭირდი. ამიტომაც უფლის გადაწყვეტილებას პატივისცემით მოეკიდე და მიიღე საკუთარი თავი ისეთად, როგორიც ხარ.

4. სიბრძნე

მკურნალთან მივიდა შეშლილი შეიხი და შესჩივლა: - ყველას რომ კურნავ, მეც დამეხმარე. როგორც კი თვალს მოვხუჭავ, მაშინვე მტანჯველი სიზმარი მომიცავს ხოლმე. მესიზმრება, თითქოს ჰარამხანასთან მივდივარ, იქ კი საოცარი ქალები მხვდებიან. ხოლო, როგორც კი ვუახლოვდები მათ, მაშინვე ყველა ერთიანად ქრება.

მკურნალმა შუბლი შეჭმუხნა, დაფიქრდა და ბოლოს ჰკითხა: - ალბათ გსურს რაიმე წამალი მოგცე, რომ ამ სიზმრისგან გათავისუფლდე?

აღშფოთებულმა შეიხმა წამოიძახა: - ოღონდ ეგ არა! ერთადერთი, რაც მინდა - ჰარამხანის საიდუმლო კარი დაკეტოთ, რომ ქალები არსად გაიქცნენ ჩემგან.

მორალი: ადამიანები ბედნიერები იქნებოდნენ იმ შემთხვევაში, რომ მხოლოდ ის სდომებოდათ, რაც მათ ღმერთმა არგუნა. მაგრამ მათ მუდამ სხვისი კუთვნილების მითვისება სურთ.

5. განზოგადება

ერთ ფილოსოფოსს ერთი წყვილი ფეხსაცმელი ჰქონდა. ერთხელ მან მეწაღეს სთხოვა, სასწრაფოდ შეეკეთებინა მისი ფეხსაცმელი, მაგრამ სახელოსნო უკვე იკეტებოდა. მეწაღემ უთხრა შესთავაზა დაეტოვებინა ფეხსაცმელი და მეორე დღეს შეაკეთებდა.

- საქმე ისაა, რომ მე მხოლოდ ერთადერთი წყვილი ფეხსაცმელი მაქვს და მის გარეშე, უბრალოდ, ვერსად წავალ - უთხრა ფილოსოფოსმა.

- არაუშავს! ერთი დღით სხვის ფეხსაცმელს გათხოვებ.

- რაა? სხვისი ფეხსაცმლით ვიარო? ვინმეში ხომ არ გეშლები?

- რატომ უკადრისობთ სხვის ფეხსაცმელს? თქვენ ხომ მუდამ სხვისი აზრები და იდეები გიტრიალებთ თავში?

მორალი: ამქვეყნად არაფერი არსებობს ისეთი, რაც მხოლოდ შენ გეკუთვნის, აზრებიც კი. დაფიქრდი ამაზე.

6. ენერგია

საზოგადოება ძალიან ცუდად ეპყრობოდა ანგულიმალს. კაცი გამწარდა და პირობა დადო, რომ ბევრი ადამიანის სიცოცხლეს ხელყოფდა, შემდეგ თითოეულს თითო თითს მოაჭრიდა და მისგან სამკაულს გაიკეთებდა. მსხვერპლმა 999-ს მიაღწია და ბოლოს ანგულმალი ბუდას მიადგა. ბრძენმა მკვლელს უკანასკნელი სურვილის შესრულება სთხოვა: - ხედავ იმ მშვენიერ ხეს? მომიტეხე მისი ერთი ტოტი, მინდა ახლოდან დავაკვირდე მას, შემდეგ კი კვლავ მიამაგრე ხეს. ანგულიმალმა გაოცებულმა შეხედა ბუდას, მან კი განაგრძო: - თუ შექმნა არ შეგიძლია, რა უფლება გაქვს, გაანადგურო?

მორალი: მიმართე შენი ენერგია სასარგებლო საქმეში, თორემ სხვაგვარად ის სხვა რამეში დაიხარჯება - სიბრაზეში, ბოროტებასა და აგრესიაში.

7. სინათლე გზაზე

ღამით ორი ადამიანი ულრან ტყეში დაიკარგა. ორივეს საშინლად ეშინოდა, მაგრამ განსხვავებულად გამოხატავდნენ ამას, რადგან ერთი გზააბნეული ფილოსოფოსი იყო, მეორე კი - მისტიკოსი. პირველი სიღრმისეულად აანალიზებდა, რატომ აღმოჩნდა ამ სიტუაციაში, ხოლო მეორეს იღბლის სჯეროდა. მოულოდნელად, ჭექა-ქუხილი ატყდა. ფილოსოფოსმა ცას დაუწყო ყურება, კვლავ განსჯა დაიწყო და გზას ასცდა. მისტიკოსმა კი, გზას დაუწყო ყურება და ელვამ რომ გაანათა, სწორი გზა დაინახა.

მორალი: ყურადღებით უყურე გზას და კი არ იფიქრო, იარე წინ! ფილოსოფოსობა - მიზანთან არ მიგიყვანს. წარმატებისთვის საჭიროა მოქმედება.

8. მადლიერება

საღამოვდებოდა, როცა მოხუცი მაწანწალა სოფელს მიადგა და ადგილობრივ მცხოვრებლებს ღამის გასათევს სთხოვდა, ყველა სახლის კარზე აკაკუნებდა, მაგრამ არავინ უღებდა. ბოლოს, გაყინულსა და მშიერს ხის ქვეშ ჩაეძინა. შუაღამისას გამოეღვიძა და დაინახა მის თავზე, მთვარის შუქზე მოკიაფე ვაშლები. ქალი ადგა, ქედი

მოიხარა სოფლის მხარეს და ადამიანებს მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ ღამე არ გაათენებინეს. შემდეგ დაბრუნდა შინ და საოცარი მხატვრული ტილო შექმნა.

მორალი: მიიღე ყველაფერი, რასაც ცხოვრება გაძლევს მადლიერებით. ადამიანის განვითარებისთვის ერთნაირად აუცილებელია ტანჯვაც და სიამოვნებაც.

9. იმედი

ერთ მონადირეს ჯუნგლებში გზა აებნა, სამი დღე და ღამე დაძრწოდა და უიმედოდ ეძებდა ცოცხალი ლაბირინთიდან გამოსასვლელ გზას. ბოლოს თავისნაირ გზა-აბნეულს გადაეყარა. მამაკაცები ერთმანეთს გადაეხვივნენ და წუთით უბედნიერე-სები იყვნენ. შემდეგ კი ჰკითხეს ერთმანეთს, რა უხაროდათ. პირველმა თქვა: - მე უკვე იმედიც დავკარგე, რომ ვინმეს შევხვდებოდი.

მეორემ თქვა: - მე იმედი მქონდა, რომ თანამგზავრს შევხვდებოდი. მაგრამ თუ არცერთმა არ ვიცით გზა, რა გვიხარია? ახლა ერთად უნდა გავაღწიოთ აქედან.

მორალი: ორი ერთად მაშინ არის ბედნიერი, როცა მათ შეუძლიათ იყვნენ ბედნიერები ცალ-ცალკეც. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთმანეთს გახდიან უბედურს.

10. ოჯახს მიღმა

პატარა იესო მარიამმა და იოსებმა დღესასწაულზე წაიყვანეს. ბავშვი ბრბოში დაიკარგა. მშობლებმა დიდხანს ეძებეს შვილი და ბოლოს მწიგნობრებთან იპოვეს. პატარა იესო ბრძენ მამებს ესაუბრებოდა, ეს უკანასკნელები კი გაოცებულები იყვნენ პატარას ასეთი საოცარი აზროვნებით. იოსებმა ჰკითხა იესოს:

- აქ რა გინდა? მე და დედაშენი მთელი დღეა გეძებთ!

- რატომ მეძებდით? მე მამაჩემის საქმეს ვაკეთებდი.

- მე ვარ მამაშენი! შენ კიდევ დამჯდარხარ ამ მწიგნობრებთან, - აღშფოთდა იოსები.

- მე ჩემი სულიერი მამა ვიგულისხმე.

მორალი: ადრე თუ გვიან ბავშვი უნდა ჩამოშორდეს მშობლებს, გახდეს დამო-უკიდებელი არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ - სულიერადაც.

11. სამოთხის კარიბჭე

სამურაი მივიდა ბრძენთან შეკითხვით - არსებობს სამოთხე და ჯოჯოხეთი? და სად არის მათი კარიბჭე?

- ვინ ხარ? ჰკითხა მასპინძელმა.

- სამურაი, უპასუხა სტუმარმა.

- სამურაი? შენ ხომ მაწანწალას ჰგავხარ!

მეომარს თავმოყვარეობა შეელახა და დაუფიქრებლად ამოაძრო ქარქაშიდან ხმალი. ბრძენმა კი გაუღიმა და უთხრა:

- აჰა შენ პასუხი შენს შეკითხვაზე. სამოთხე და ჯოჯოხეთი - გეოგრაფიული მდებარეობა კი არა, ფსიქოლოგიური მდგომარეობაა. ისინი ჩვენშია. ორივე კარი გვერდიგვერდაა. როცა დაუფიქრებლად ვმოქმედებთ - ჯოჯოხეთის კარს ვხსნით, ხოლო როცა ვაცნობიერებთ ჩვენს საქციელს - სამოთხისას.

მორალი: ისწავლე, აკონტროლო შენი გრძნობები და ქცევები. და არ აქვს მნიშვნელობა, რას აკეთებ - მთავარია, ეს არ იყოს გაუცნობიერებლად.

12. მოგზაურობა

მასწავლებელმა და მოსწავლემ დიდი დღესასწაულის დროს ერთ სოფელში გაიარეს. მთავარ მოედანთან დოლისა და ადამიანთა შეძახილების ხმაური იმდენად აუტანელი იყო, რომ მოსწავლემ ყურებზე ხელები აიფარა. მისდა გასაოცრად, მასწავლებელი ცეკვა-ცეკვით სულ უფრო ახლოს მიდიოდა ზეიმის მონაწილეებთან. როცა ყველაფერი დამთავრდა და დაღლილი ადამიანები დაიშალნენ, მოსწავლემ ჰკითხა მასწავლებელს: - როგორ შეგეძლო გემხიარულა ასეთ ხმაურში? მე ჩემი აზრების ხმაც კი აღარ მესმოდა!

- შენ ხმაურზე იყავი კონცენტრირებული, ჩემო მეგობარო, ამ სოფლის მცხოვრებლებისთვის კი ეს მშვენიერი მუსიკა იყო. მე ისე აღვიქვი ეს ხმები, როგორც მათ. ადამიანთა უმეტესობა ისე ცხოვრობს, რომ მხოლოდ ხმაურს აღიქვამს. წამოდი, გავაგრძელოთ გზა და ამჯერად მხოლოდ მუსიკას ვუსმინოთ.

მორალი: ისწავლე მოისმინო ცხოვრების მუსიკა. ეს ხომ მხოლოდ და მხოლოდ მოგზაურობაა, რომელიც მალე დასრულდება.

წყარო: www.marao.ge

კავკასიურმა ნაგაზმა წყალდიდობის დროს სახლი არ მიატოვა

2013 წელს, რუსეთის აღმოსავლეთი ნაწილი წყალმა დაფარა. სახლები დაინგრა და არა ერთი ადამიანი დაზარალდა. ანდრეევის ოჯახისა და მათი 4 წლის კავკასიური ნაგაზის მეტისის, დრუჟოკის ევაკუირება აუცილებელი გახდა, რადგან მათი სახლი წყალში იდგა. ოჯახი დროებით ნათესავთან გადავიდა, თან ძაღლიც წაიყვანეს, თუმცა დრუჟოკი მესამე ღამეს გაუჩინარდა. პატრონი ძაღლის მოსაძებნად დილითვე წავიდა. ის ნავით მიუახლოვდა თავის სახლს და დაინახა, რომ დრუჟოკი სახლის კართან იჯდა და სხეულს წყალი ნახევრად უფარავდა.

„ძაღლი გაუნძრევლად იჯდა კართან. ჩვენ გვინდოდა მისი უსაფრთხო ადგილას გადაყვანა, თუმცა, როდესაც ვუახლოვდებოდით, ის გვიღრენდა და სახლთან არავის უშვებდა“ - განუცხადა პატრონს ერთ-ერთმა მაშველმა, თუმცა, როდესაც დრუჟოკმა პატრონი დაინახა, ის მაშინვე გაემართა ნავისკენ.

„საოცრად ერთგული ძაღლია. ის მთელი ღამე, ცივ წყალში, კართან იდგა და სახლს დარაჯობდა. როდესაც მივედით, სიცივისგან კანკალებდა, თუმცა სახლი მაინც არ მიატოვა. ჩვენი დანახვა ძალიან გაეხარდა და მაშინვე ნავისკენ გამოცურა“ - განაცხადა ძაღლის პატრონმა.

დრუჟოკმა დიდი ერთგულება გამოიჩინა, როდესაც საშინელი წყალდიდობის დროსაც კი, თავისი სახლი დაიცვა და ტერიტორია არ მიატოვა. რამდენიმე კვირის შემდეგ, ძაღლი ოჯახთან ერთად თავის სახლში დაბრუნდა.

წყარო: www.zooclub.ge

მესხური თათარბერაული ნანა აბულაძისგან
(112-ის საფინანსო და ლოჯისტიკის სამსახური)

მომზადების წესი:

წყალში ჩაკეარეთ მარილი, ფქვილი და მოვზილოთ მაგარი ცომი. გავაბტყელოთ ფიცარზე გაცილებით თხლად, ვიდრე ხინკლების დროს იჭრება ცომი. გაბრტყელებული ცომი დავჭრათ რომბებად.

ქვაბში ჩავასხათ ბლომად წყალი, დავდგათ გაზქურაზე, როდესაც წამოდუღდება დავუმატოთ მარილი, მოვურიოთ, ჩავყაროთ დაჭრილი ცომი და მოვხარშოთ. მოხარშული ცომი გადმოვიღოთ სასურველ ჭურჭელზე, მოვასხათ ზეთში შემწვარი ხახვი, ნიორწყალი (ნიორი წინასწარ დავნაყოთ და გავსხნათ წყალში ჭიქაში), მაწონი და ავურიოთ. სუფრასთან მივიტანოთ ცხელ-ცხელი.

მასალა:

ცომისთვის

ფქვილი – 1 კგ

მარილი გემოვნებით

მოსასხმელად:

ხახვი – 2–3 თავი

ნიორი – 1 თავი

მაწონი – 500მლ.

ერბო ან ზეთი ხახვის მოსახრაკად

წყალი – ნახევარი ჭიქა

გილოცავთ...

შვილის შეძენას ვულოცავთ
მაკა ქრისტესიანშვილს და
ნინო გელოვანს

შსს სსიპ – 112

ვაშლიჯვრისა და ნუსუბიძის
მიკრორაიონების დამაკავშირებელი
ავტობანი

www.112.ge
112news@112.ge